ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1148184

ნომერი: AR1199912

თარიღი : 26.02.2014

გაცემის თარიღი : 05.03.2014

გაცნობის თარიღი : 06.03.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კუს ტბის ტერიტორია. ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო ბადაგაძე პ/ნ 01031001699
- თბილისი ს.მეტრეველის ქ. N 18

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს კუსტბაპალასი კოდი: 205080115

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

2014 წლის 26 თებერვალს AR1199912 განცხადებით ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურს მომართა მოქალაქე ნინო ბადაგაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში,#01.14.13.013.001 საკადასტრო ერთეულზე გასართობი ღია სეზონური კაფეს განსათავსებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემა.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის მიხედვით მიწის ნაკვეთზე ვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ).

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N 4-13 გადაწყვეტილების „ ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“მე-19 მუხლის I პუნქტის მიხედვით, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ), წარმოადგენს თბილისის (ადმინისტრაციულ) საზღვრებში არსებულ ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიას, სადაც შესაძლებელია მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი შენობა-ნაგებობების განთავსება კანონმდებლობის შესაბამისად .

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მიწის ნაკვეთები სამშენებლო საქმიანობისათვის გამოყენების შესაძლებლობების მიხედვით იყოფა სამშენებლო მიწის ნაკვეთად, სამშენებლოდ შეზღუდულ მიწის ნაკვეთად და სამშენებლოდ შეუსაბამო მიწის ნაკვეთად. აღნიშნული დადგენილების მე-7 მუხლის მიხედვით ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში მდებარე მიწა არის სამშენებლოდ შეზღუდული სტატუსის მქონე.

ფუნქციური ზონიდან გამომდინარე, რადგანაც მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი შენობა–ნაგებობები არ განეკუთვნება გასართობი ღია სეზონური კაფეს მოწყობას შეუძლებელია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თახმად ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის˜ მე-5, 51-ე, 52-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქალაქე ნინო ბადაგაძეს ქალაქ თბილისში, კუს ტბის ტერიტორიაზე #01.14.13.013.001 საკადასტრო ერთეულზე გასართობი ღია სეზონური კაფეს განსათავსებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.